ანა ბაღაშვილი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა

,,ჩემი გაცვლითი პროგრამის დროს მიღებული გამოცდილება ვილნიუსის უნივერსიტეტში, ლიეტუვაში დაუვიწყარი იყო. უზომოდ მადლიერი ვარ კავკასიის უნივერსიტეტის, რომელმაც მომცა უცხო ქვეყანაში სწავლის საოცარი შესაძლებლობა. აქ საშუალება მქონდა რომ გამეცნო ახალი, მრავალფეროვანი კულტურა, როგორც ლიეტუვისა, ასევე სხვა ბალტიკის ქვეყნების და კიდევ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების. შევძელი ისეთ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებიც ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდნენ და ჩემს სამუდამო მეგობრებად იქცნენ.

ეს გამოცდილება ჩემთვის მხოლოდ აკადემიური მიღწევებით არ შემოიფარგლება – მან ჩემს პიროვნულ ზრდასა და პროფესიულ განვითარებაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა. უცხო ქვეყანაში სწავლამ მაჩვენა თუ როგორ ვიყო დამოუკიდებელი, როგორ გადავლახო სირთულეები და როგორ მივენდო საკუთარ თავს, რაც თვითგანვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. ვისწავლე როგორ მივიღო გადაწყვეტილებები და როგორ გავიზარდო პიროვნულად.

თუ ოდესმე გიფიქრიათ თქვენი კომფორტის ზონის მიღმა ნაბიჯის გადადგმაზე – გადადგით! სამყარო სავსეა შესაძლებლობებით, ახალი გამოცდილებებით და მეგობრობით, რომლებიც თქვენი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცევიან.''